


"ჯანმრთელობის ხიდები" ოკუპაციის პირობებში


2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოკუპირებულ რეგიონებში მაცხოვრებლებთან კავშირი არ შეწყვეტილა. ამ მხრივ, ყველაზე გამორჩეული სფერო მედიცინა აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობამ რეფერალური პროგრამა 2010 წელს დაამტკიცა, რომლის ფარგლებში ოკუპირებული რეგიონების მაცხოვრებლები ქართულ კლინიკებში უფასოდ მკურნალობენ.


ამ პროგრამით სარგებლობა 2013 წლიდან გააქტიურდა და ჯამში (2022 წლის აპრილამდე) 11 986 აფხაზ და ოს პაციენტს გაეწია სამედიცინო მომსახურება.



მიმართვიანობის სტატისტიკა 2011-2022 (მარტი) წლებში:



ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები პაციენტების მკურნალობისთვის საქართველოს ბიუჯეტიდან წელიწადში (დაავადებების მიხედვით), საშუალოდ 4 მლნ ლარი იხარჯება. რეგისტრირებულ პაციენტებს შორის ყველაზე ხშირი 4 მიმართულების დაავადებებია.



ოკუპირებული ტერიტორიებიდან მიმართვიანობის პროცესი პანდემიის პერიოდშიც არ შეწყვეტილა. 2020-2022(11.04) წლებში სამედიცინო მომსახურება ოკუპირებული რეგიონის 2140 პაციენტს გაეწია, აქედან 1214 სხვადასხვა დაავადების მქონე, 926 კი კოვიდინფიცირებული იყო.

- 1214

- 926

კავშირების შესამცირებლად საოკუპაციო რეჟიმი მუდმივად ავრცელებს დებინფორმაციას. ქართულ კლინიკებში მკურნალობის მსურველთა მიმართ მასიუსი ზენოლის მიუხედავად, ურთიერთობები გრძელდება..



მნიშვნელოვანია!

ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობისთვის, ადამიანური ისტორიების ფართოდ გავრცელება და უფრო მეტი ეფექტური სამშვიდობო ინიციატივის განხორციელება.